პარასკევი, 1917 წ. ენკენისთვის 1 (14) წელიწადი მესამე ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

**საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწე-რილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტო-რის ვინაობა და მისამართი. უპირო-ბოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასა-ლა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კის-რულობს.**

**რედაქცია ღია არის დილის 9—3 საა-თამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქ-ციო საქმეების გამო პირადათ მოლაპა-რაკება შეიძლება ამავ დროს.**

**კ ო ნ ტ ო რ ა**

გაზეთის ფასი პირველი ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) [illegible] ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტი-ტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ გან-ცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩ-ქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონ-ტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 192 ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ № 192

## გაზეთის შინაარსი

### სამეცნიერო ცნობები

პეტროგრადზე გალაშქრებულ კორნილოვის ჯარს წინ ინგუშების, ჩეჩნების და ჩერქეზების პოლ-კები მიუძღვიან. მუსულმანთა დელეგაციამ მოსალა-პარაკებლად მათი ოფიცრები სადგურ სუასინოში ინახულა. ოფიცრებმა განაცხადეს: ჩვენ სრულებით ვემორჩილებით კორნილოვსო.

პეტროგრადში კრონშტადტიდან და ფინლიან-დიიდან ჯარი ჩამოვიდა.

პეტროგრადს მავთულის ხლართებით და ბარი-კადებით ამაგრებენ.

კერენსკიმ ყაზახთა დელეგაციას კორნილოვთან წასვლა აუკრძალა.

მოსკოვში სამხედრო წესები გამოცხადდა.

მთავრობამ პურის ფასი ერთი-ორად ასწია.

ლენინმა განაცხადა დამოუკიდებელ პოლო-ნეთს ზღვისკენ გასავალი უნდაო.

უკრაინის რადა მთავრობას ემხრობა.

გენერლები დენიკინი, არლოვი და მარკოვი სა-მხედრო სამართალში მისცეს.

სათათბიროს წევრი პურიშკევიჩი შეიპყრეს.

კავკასიის ფრონტის სარდალი პრჟევალსკი მთავ-რობას ემხრობა.

### წ ე რ ი ლ ე ბ ი

**გერონტი ქიქოძე.** რევოლუციის ახალი თარიღი.
**გიორგი ზვაზავა.** სომხეთი და საქართველო.

**ნ. კეცხოველი.** ექვსი თვის შემდეგ.
**კორესპონდენცია:** ქობულეთიდან და თელავიდან.

სომეხ-თათართა შეტაკება ალექსანდროპოლში.
ჰირნახულის მოსავალი კავკასიაში.
პურის ბარათებით მიღების წესი.
ბინის კანონი.

---

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის**

**X და XII უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 3 სექტემბერს დილის 10 საათზე

**ახალ საკრებულოს შენობაში** (ყოფილი ხარფუხ. კლუბი)

დანიშნულია პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა

**კ რ ე ბ ა.**

კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს შ. ქარუმიძე თანამედროვე მომენტის შესახებ. ამასთანავე ბ. გიორგი ქურული აუხსნის საზოგადოებას ქალაქის თვითმართველობის განყოფილებათა უბნებში დაარსების საჭიროებას და მათს მნიშვნელობას. შემდეგ მოხდება საუბნო კომიტეტის ხელ-ახალი არჩევა.

---

**პირველ ენკენისთვიდგან იხსნება**

**ჭრა-კერვისა**

და სხვა-და სხვა ხელოვნურ ნაქარგების

**ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი.**

ვიღებთ მოწაფეებს და აგრეთვე ყველანაირ შემოკვეთილ საქმეებსა.

2—769—1 ნატო კენჭიაშვილი. ჩერქეზიშვილის ქუჩა 15.

---

**ახალი ქართული სრულ-უფლებიანი**

**ქალ-ვაჟთა გიმნაზია**

**მასწავლებელთა კოლეგიისა** (ყოფილი სკოლა ჩერქეზიშვილისა).

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე და 1, 2, 3, 4 და 5 კლ. განმეორებითი გამოცდები დაიწყე-ბა ენკენისთვის 11-ს, სწავლა კი ენკენისთვის 20-ს. თხოვნები მიიღება გიმ-ნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10 ს. ნაშ. 1 საათამდე. მისამართი: ალექსეევის ქ. № 17 ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 2—765—1

---

**რადგანაც დღითი-დღე სიძვირე**

**მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,**

**გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.**

**წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთამდე, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.**

**აგრეთვე ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.**

---

**გამოვიდა და იყიდება**

**ტიტე მარგველაშვილის**

წიგნი

**„ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი"**

წიგნის მაღაზია „(ცოდნა" ი. მერკვილაძისა და ეროვნ.-დემოკრატიის ბიურო, ფრეილიხის ქ. № 13. 3—2

---

**კვირას, 3 ენკენისთვეს, დილის 10 საათზედ (ახალ დროზე) სახალხო სახ-ლში დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოება**

**„აღორძინება"-ს**

**წევრთა წლიური საზოგადო კრება.**

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა, 4) წევრთა გამორიცხვა საზოგადოებიდან და 5) მიმდინარე კითხვები.

დაბეჭდილი ანგარიშები წევრთ შეუძლიათ მიიღონ უმთავრეს მაღაზია-ში და განყოფილებებში.

გამგეობა სთხოვს წევრთ უთუოდ დაესწრონ კრებას.

გამგეობა.

2—768—2

---

**ქ. გორში, ხაშურში და სოფელ ახალქალაქში ე. თარხნ მოურავის**

**პროფესიონალურ ჭრა-კერვის**

**ს კ ო ლ ე ბ შ ი**

მოწაფეთა მიღება უკვე დაიწყო. ამა წლის ენკენისთვიდგან სასწავლებლებს ემატება სამი დარგი ხელ-საქმისა: საფეიქრო, წინდების და არშიების საქსოვი განყოფილებები. მეცადინეობა დაიწყობა გორში 11 ენკენისთვიდან, ხაშურ-ში 18 ენკენისთვიდგან, ახალქალაქში 1 ღვინობისთვიდგან, მოწაფეებათ მი-იღებიან არა ნაკლებ 12 წლისანი. 12 წლის ზემოთ წლოვანება განსაზღვრუ-ლი არ არის. მოწაფენი მიიღებიან 1 წლის კურსითაც. მოწაფის ჩაწერა შე-იძლება ქალაქ გორში და ახალქალაქში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან სა-ღამოს 5 საათამდე. ხაშურში: სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეო-ბით დილის 9. ს. საღამოს 5 საათამდე. ყველა სკოლებთან მიიღება დაკვე-თილი საკერავი.

2—770—2

---

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის**

**ბათომის კომიტეტი**

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღე-ბოდ, რომ პარტიის **ბიურო გადატანილია** ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი № 6 გოგიტიძის სახლი. აქვე შეიძლება პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველ-გვარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—8-დე. აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ წერილები ამავე მისამარ-თით გამოგზავნონ.

3—უ—3 ბათომის კომიტეტი

---

**ე ქ ი მ ი**

**ე. დ. შალამბერიძე**

იღებს საშვილოსნო და სამეანო ავად-მყოფებს საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7

---

**ე ქ ი მ ი**

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ლადოს ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

---

**ე ქ ი მ ი**

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნი-ვერსიტეტის თერაპევტიული კლინიკე-ბისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპე-ციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველ დღე გარდა კვირაძალისა. მიხეილის პროსპ. № 36, მეორე სართული.

---

**ე ქ ი მ ი**

**მ. გ. ვეშაპიძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ და კანის კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენე-რიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირ-დაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

---

**ე ქ ი მ ი**

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღა-მოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენე-რიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავად-მყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—12)

---

**ე ქ ი მ ი ქალებისა**

**ე. ივ. გალაჯაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

---

**ე ქ ი მ ი**

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულე-ბიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საა-თამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—7

---

**ე ქ ი მ ი**

**მ. ი. მარნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მე-ლიქსეთის ქ. № 4. (თ.—202—)

---

**ე ქ ი მ ი**

**მ. მ. მ უ ხ ა ძ ე**

იღებს ხალხსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიძე-ისა. ტელეფონი № 5—77.

---

**ექიმის თანაშემწე**

**ვანო საათაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს სალ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფი-ლისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამ-ლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

**მისამართი:** ფასანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი).

4—748—თ.

---

**[illegible]**

[illegible]

**კალანდარიშვილი**

[illegible]

დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

---

## რევოლუციის ახალი თარიღი

როგორც მოსალოდნელი იყო კონტრ-რევოლუციური შეთქმულება დამარცხ-და. ეს ახლა თითქმის გადაჭრით შე-იძლება ითქვას. გენერალმა კორნილოვ-მა ვერ გამოიჩინა ის თვისებები, რო-მელიც საჭიროა მეამბოხისათვის: ენე-რგია, სისწრაფე, გაბედულება თავ-დასხმაში. ძვირფასი დრო უნაყოფო მოლაპარაკებაში დაჰკარგა და დროე-ბითს მთავრობას შეძლება მისცა მო-ფიქრებისა და ძალთა მოკრეფისათვის. რადგან ამასთან ერთად აღმოჩნდა, რომ რუსის ხალხისა და ჯარის უდი-დესი ნაწილი კონტრ რევოლუციის წი-ნააღმდეგია და რევოლუციის მომხრე, დიდათ საეჭვოა, რომ მეამბოხეთა რა-ზმებმა მიაღწიონ სატახტო ქალაქს.

მაგრამ გენერალ კორნილოვის აჯან-ყება უმნიშვნელო ეპიზოდი არ არის რუსეთის რევოლუციის ისტორიაში. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ამ აჯანყების თარიღი საზღვრად დაედე-ბა რევოლუციის ორს პერიოდს, რო-მელნიც არსებითად განსხვავდებიან ერთიერთს შორის.

რუსეთის რევოლუციას უსისხლო რევოლუცია უწოდეს და მართლაც პირველმა თვეებმა შედარებით მშვი-დობიანად ჩაიარა. სიკვდილით დასჯა იმთავითვე მოსპობილ იქმნა, შემდეგ მხოლოდ ფრონტისთვის აღადგინეს. თებერვლის დღეებში პეტროგრადის ქუჩებზე მხოლოდ რამდენიმე ასი კაცი დაიღუპა, ივლისის აჯანყების დროს მხოლოდ რამდენიმე ათეული. ადგილი არ ჰქონია არც წითელსა და არც თეთრს ტერორს: როგორც ძველი მთავრობის წარმომადგენლები ისე ბოლშევიკების მეთაურები დატუსაღე-ბით გადარჩნენ. იდეა, რომელიც პირ-ველ რევოლუციურ პერიოდს ხელ-მძღვანელობდა იყო იდეა კოალიციისა ლიბერალებისა და სოციალისტებისა ანუ, უკეთ ვსთქვათ, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის, ამ იდეის თვალხილული სიმბოლო კი ბუბლიკო-ვისა და წერეთლის ხელის ჩამორთმე-ვაში გამოიხატა.

კორნილოვის ხმალმა რევოლუციის გული ვერ გაჰგმირა, მაგრამ ტლანქად გასთიშა გადაჭდობილი ხელები. კოა-ლიცია დაირღვა. პეტროგრადიდან იტყობინებიან კიდეც, რომ კადეტები და რადიკალები გავიდნენ სამინისტ-როდან და ერთფეროვანი სოციალის-ტური ს მინისტრო შესდგა. ამგვარად კონტრ-რევოლუციურმა აჯანყებამ აგვისტოში შეასრულა ის, რაც ვერ შესძლო ბოლშევიკების აჯანყებამ ივ-ლისში: თავისი სურვილის წინააღმდეგ გენერალმა კორნილოვმა ლენინის იდე-ალების გამარჯვებას შეუწყო ხელი.

ცნობილია, თუ რას ითხოვდა ბოლ-შევიკების მეთაური. მთელი სახელმწი-ფო ძალა-უფლება მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოებს უნდა გადასცემოდა, ე. ი. დემოკრატიული დიქტატურა უნდა დამყარებულიყო. თუ პეტრო-გრადის უკანასკნელი ცნობები სწო-რია, დემოკრატიული დიქტატურა არსებითად დამყარებულია კიდეც. მა-გრამ ასეთი დიქტატურა რევოლუცი-ური ძალდატანების იარაღია. უეჭვე-ლია, რომ ახალი მთავრობის ორგა-ნოები სასტიკად გაუსწორდებიან არა მარტო კონტრ-რევოლუციონერ, არამედ მის ახლო მდგომარე ელემენტებსაც.

დაკვირვებული მეთვალყურისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ რუსეთის რევოლუციას არ შეეძლო ხანგრძლივ მშვიდობიანი გზით სიარული და შე-თანხმებისა თუ მორიგების იდეას მხო-ლოდ დროული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის რევოლუცია საერთაშორისო ცეცხლისა და კვამლის ატმოსფერაში დაიწყო. დაბალი ხალხი მოკლებულია ფაქიზ კულტურას, საუკუნოებრივმა მო-ნობამ და უმეცრებამ მასში ტლანქი და ძალოვანი ინსტიქტები აღზარდა. რევო-ლიუციამ დიდმნიშვნელოვანი სოცია-ლური საკითხები წამოაყენა, მათი გა-დაწყვეტა ახლო ეხება ადამიანის ში-ნაგან ბუნებას. ასეთს გარემოებაში მოსალოდნელია, რომ ტემპერატურა აიწევს და ვნებათა ღელვა თან და თან გაძლიერდება რევოლუციის მსვლელობაში.

როგორც ვსთქვით გენერალმა კორ-ნილოვმა ახალი თარიღი აღნიშნა: მე-ლოდრამატიული პერიოდი გათავდა, იწყება დრამატიული პერიოდი რუსე-თის რევოლუციისა.

გერონტი ქიქოძე

---

## სომხეთი და საქართველო

(ადმინისტრატიული გადამიჯვნის გამო).

I

გასაგებია პოლონელის სულის კვე-თება, გასაგებია, როცა იგი ებრძვის გერმანიას, ეჭუქრება ავსტრიას და ეჭვის თვალით უყურებს რუსეთს. პო-ლონეთის ეროვნული ტანი გაგლეჯი-ლია სამ ნაწილებად და დანაწილე-ბული ამ სამ სახელმწიფოთა შორის.

მაგრამ ყოვლად გაუგებარია, როცა ზოგიერთი სომხები ებრძვიან საქართ-ველოს, ემუქრებიან საქართველოს ან ეჭვის თვალით უყურებენ მის პოლი-ტიკურ არსებობის აღდგენას. სომხე-ბის ეროვნული ორგანიზმი არა მარ-ტო დაყოფილია სამ ნაწილად, იგი დაფლეთილია ნაკუწ ნაკუწად და გაბ-ნეული ქვეყნის პირად. ეს დიდად სამ-წუხარო და სავალალო მოვლენაა, ეს დიდი უბედურებაა, რომელმაც არ შე-იძლება არ გამოიწვიოს ადამიანის გულში სრულებით წრფელი თანაგრ-ძნობა. მაგრამ განა საქართველოს მი-უძღვის რაიმე ბრალი ამ უბედურების შექმნაში? განა როდისმე ყო-

ფილა რაიმე შუღაკები ქართველთა და სომეხთა შორის? განა როდისმე მომხდარა ისეთი გაუგებრობა, რომ საქართველოს ძმურად და მეგობრულად ხელი არ გაეწვდინოს სომხებისთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი ან მოსახერხებელი იყო?

ჩვენ კი არ წავსულვართ სომხეთში, ჩვენ კი არ მიგვიღია მონაწილეობა მისი ეროვნული ორგანიზმის დაფლეთაში, ჩვენ კი არ დაგვიპყრია ძალმომრეობით სომხეთის ტერიტორია,— პირიქით, დარბეული და აწიოკებული სომხები წამოვიდენ ჩვენსკენ, ჩვენ გაუღეთ კარი, მივიღეთ, შემოვიხიზნეთ, დავაბინავეთ საქართველოში. მერე იწყება ძმური და უფლებრივად თანასწორი ცხოვრება. ამას ამტკიცებს ჩვენი ვაჭრობა და ამქრობა, ჩვენი გლეხობაც, სადაც სომხები და ქართველები შერეულად ცხოვრობენ, მაგრამ არასოდეს არ მომხდარა იმათ შორის რაიმე შუღლი და უთანხმოება, აღმოცენებული ეროვნულ სხვადასხვაობის ნიადაგზე.

მიუხედავად ამისა, დიდი ხანია, იჩინა თავი ერთგვარ აზრთა მიმდინარეობამ. აქ მესვეურობს ერთი ნაწილი სომხის ინტელიგენციისა. უნდა ისიც დაუმატოთ, რომ ის ნაწილი სრულებით მოწყვეტილია საქართველოს სომხებისაგან, იგი—შორეულია, შორიდან გადმოხვეწილი, იმას არა გაეგება-რა იმ ძმური განწყობილებისა, რომელიც დიდი ხანია, რაც დამყარდა საქართველოში სომეხთა და ქართველთა შორის; იმას მოაქვს განყენებული პრინციპები და ამ სხვა და სხვა ეროვნული ლოზუნგების გადასროლით სწამლავენ ამ ურთიერთობას. მე სახეში მყავს პარტია „დაშნაკცუტუნი". მან ისევ აფრიალა ის დროშა, რომელიც პირველად გაშალა ცნობილმა მინისტრმა დელიანოვმა.

II

მოვიგონოთ ეს გუშინდელი ამბავი.

როგორც ვიცით, 1783 წლის ხელშეკრულობის ძალით რუსეთს ნება არა ჰქონდა შემოეტანა საქართველოში საყოველთაო სამხედრო ბეგარა. 1885 წლებში, როცა ამის შემოღებაზე ლაპარაკი იყო პეტროგრადში და სხვათა შორის გამოითქვა შიში იმის შესახებ, თუ როგორ დახვდებოდნენ ქართველები ამისთანა „რეფორმას", მაშინ ცნობილმა დელიანოვმა მიიღო თავისთავზე საჭირო ნიადაგის მომზადება. „რა საქართველო, რის საქართველო?—ამბობდა იგი:—საქართველო არ არსებობს, არის მხოლოდ რუსეთის გუბერნიებიო", და ამ აზრის დასამტკიცებლად აფრინა საქართველოში თავისი ხელქვეითი პროფესორი პატკანოვი.

პატკანოვი ჩამოვიდა თბილისში, წაიკითხა ლექცია საქართველოს ისტორიის შესახებ; იგი ამტკიცებდა, რომ საქართველოს ისტორია მხოლოდ თარგმანია სომხური ზღაპრების; რა საკვირველია, მან ეს დაამტკიცა და არხეინად დაბრუნდა პეტროგრადში.

კარგი, ისტორია არ არის, მაგრამ საუბედუროდ არის საერთაშორისო ტრაქტატი 1783 წლისა. რადა ეშველება ამას? როგორ უნდა ამოიშალოს იგი არა მარტო ისტორიიდან, არამედ თვით ძირითადი კანონებიდან?! აი ეს იყო ხათაბალა. დელიანოვმა აქაც სიყალბე გამოიჩინა: აფრინა საქართველოში თავისი ხელქვეითი, ვილაც ეზოვი, სამინისტროს პატარა მოხელე. ეს ვაჟბატონი ამტკიცებდა, რომ ირაკლი მეფე ქვეშევრდომი იყო სპარსეთისა და ამიტომ უფლება არ ჰქონდა დაედვა რაიმე ხელშეკრულობაო. ამ ნაირად ამ ვაჟ-ბატონს ბრიყვად გამოჰყავდა, როგორც ეკატერინე მე-II, აგრეთვე ყველა იმ დროის საპოლიტიკო მოღვაწეები. როგორც ვიცით, საქართველოს შემოერთების შესახებ იყო პროტესტი საფრანგეთისა, ინგლისისა და 1855 წელს, პარიჟის კონგრესზე ლაპარაკიც იყო აღძრული საქართველოს ევაკუაციის შესახებ. ერთის სიტყვით, ბ. ეზოვმა დაუმტკიცა რუსეთს და ევროპას, რომ საქართველოს „ქაღალდის ნაფლეთი" მართლა ნაფლეთია, რომ იმას მნიშვნელობა არა აქვს, დაამტკიცა ეს და საუკუნოდ ჩაძვრა ისევ სამინისტროს სარდაფებში.

ძალიან კარგი. ისტორია არ არის, ხელშეკრულობაც არ არის... მაგრამ რადა ვუყოთ საქართველოს მეორე სახარებას—„ვეფხის-ტყაოსანს"? ეს ხომ გენიოსური ნაწარმოებია, ეს ხომ სარკეა და საბუთი წარსული დიდებისა? აქ კი გამოვიდა პროფესორი მარრი, პატკანოვის მოწაფე და მემკვიდრე მისი კათედრისა. მან განაცხადა, რომ „ვეფხის ტყაოსანი" თარგმანია სპარსულიდანაო. რასაკვირველია, იმანაც დაამტკიცა ეს... უკაცრავად, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბ. მარრმა ბოლოს უკან წაიღო თავისი განცხადება, ბოლოს, როცა დელიანოვი და პატკანოვი განშორდნენ ამ წუთისოფელს, როცა თვითონ მარრი საკმაოდ გამაგრდა თავის კათედრაზე და სიმართლის თქმა არ იყო ისე სახიფათო, როგორც წინედ.

ამნაირად ერთი ნაწილი სომხის ინტელიგენციისა შეეცადა დაენგრია ეს სამი ბურჯი საქართველოს ეროვნულ მთლიანობისა: ისტორია, ხელშეკრულება და „ვეფხის ტყაოსანი". დარჩა კიდევ ხალხი და ტერიტორია. აქ-კი ეს მიმართულება შეხვდა რუსეთის პოლიტიკას და ორივე ძალა, ხელი-ხელ გადაბმული, შეეცადა ამ ერის და ტერიტორიის დაშლას და დარღვევას. თქვენ იცით შედეგები ამ პოლიტიკისა.

(დასასრული იქნება)

გიორგი გვაზავა.

# კონტრ-რევოლუცია

## დეპეშები

### კერენსკის მთავარ-სარდლობა

**ბრძანება დროებითი მთავრობისა სენატისადმი**

მინისტრ-თავმჯდომარეს ალექსანდრე თედორეს ძე კერენსკის მიენდო უმაღლესი მთავარ-სარდლობა სახელმწიფოს ყველა შეიარაღებული ძალებისა.

ხელი მოაწერა მინისტრ-თავმჯდომარის მაგიერ ნ. ნეკრასოვმა.

დროებით მთავრობასთან მყოფი ინფანტერიის გენერალი მიხეილ ალექსეევი ინიშნება მთავარ-სარდლის შტაბის უფროსად.

ხელი მოაწერა მინისტრ-თავმჯდომარემ ა. კერენსკიმ.

### ა. ფ. კერენსკის ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი

1917 წელს მარიამობისთვის 30. № 47.

დღეიდან დროებით მთავრობის დადგენილების თანახმად მე დავალებული მაქვს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლობა.

ყოფილ მთავარსარდლისა და გენერალთა მცირე ჯგუფის უეცარი ცდა სამხედრო ამბოხების მოსახდენად—მარცხით დასრულდა და დამნაშავე მეამბოხენი კი სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოს გადაეცნენ. ამბოხების უსისხლოდ ჩაქრობამ რუსის ერისა და მის ლაშქარ-ფლოტის გონიერება დაამტკიცა: ოფიცრების, ჯარისკაცების და მატროსების მეოხებით, რომელნიც მრისხანე მტრის პირისპირ მდგომნიცკი არ ივიწყებენ სამშობლოს წინაშე მოვალეობას და დროებით მთავრობას ემორჩილებიან. ვიღებ რა სრულიად რუსეთის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს სარდლობას—სრულს ნდობას უცხადებ ლაშქრისა და ფლოტის ყველა წევრებს: გენერლებს, ამირბარებს, ჯარისკაცებს, მეზღვაურებს, რომელთაც ამ უკანასკნელ დღეების სიმწარენი განიცადეს, ნახევარ წლის თავისუფლად ცხოვრებამ ყველა დაარწმუნა, რომ ყოველივე უეჭველი მოთხოვნილებათა აღსრულება მხოლოდ სახელმწიფოს არღვევს.

### თავ. ვ. ნ. ლვოვი

კორნილოვის შეთქმულობის მონაწილე ვ. ნ. ლვოვი სახელმწიფო საბჭოს ერთ გავლენიან პირთაგანია. პირველ და მეორე დროებით მთავრობაში მას უწმიდეს სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობა ეჭირა და მხოლოდ ამ ერთი თვის წინ დაანება თავი თანამდებობას. ვ. ნ. ლვოვს უმაღლესი განათლება (ისტორიულ-ფილოლოგიური) აქვს მიღებული. დაიბადა 1872 წელს. პირველად სახელმწიფო სათათბიროს წევრად 1907 წელს აირჩიეს. პირველად ოქტომბრისტების ფრაქციას მიეკედლა, შემდეგ ნაციონალისტებს და მე-4-ე სახელმწიფო სათათბიროში კი კრუპენსკისთან ერთად ცენტრის პარტია შეადგინა, რომელსაც თვითვე თავმჯდომარეობდა. კოალიციურ სამინისტროში კი მემარცხენე სოციალისტ მინისტრებს აძლევდა ხმას. კადეტებმა მოითხოვეს სამინისტროდან მისი დათხოვნა და კერენსკიმაც დაითხოვა.

### გზათა მინისტრის ამხანაგის გადაყენება

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29 დროებით მთავრობის მმართველ სენატისადმი ბრძანებით თანამდებობიდან გადაყენებულია და სასამართლოს მიცემულია გზათა მინისტრის ამხანაგი, გენერალ ლეიტენანტი ვლადიმერ კისლიაკოვი.

მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკი.

გზ. სამინისტრ. გამგე ლივეროვსკი.

### უკრაინის საბჭოს დადგენილება

**კიევი.** მარიამობისთვის 28. ხმები კონტრ-რევოლუციურ შეთქმულების შესახებ მთელ ქალაქს მოედო. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განუწყვეტელი სხდომა აქვს. ჯარისა და მეცოხოვნეთა წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ ჯარი და მეცოხოვნენი მზად არიან პირველ მოწოდებაზედვე მონაწილეობა მიიღონ რევოლუციისა და დროებით მთავრობის ძალის განსამტკიცებლად აქტიურ გამოსვლებში. მთავარი სეკრეტარიატმა საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს მოწოდებები დაუგზავნა. სეკრეტარიატი აცხადებს: მზად იყავით კონტრ-რევოლუციურ გამოსვლათა საწინააღმდეგოდ და ყოველივე ცნობა მის შესახებ სწრაფად აცნობეთ დროებით მთავრობასა და ცენტრალ რადას.

### ტამბოვის კომიტეტი

**ტამბოვი.** მარიამობისთვის 28. შესდგა რევოლუციის მხსნელი კომიტეტი. აიკრძალა მიტინგები. ქალაქში სიწყნარეა.

### ხარკოვის საბჭოს მოწოდება

**ხარკოვი.** მარიამობისთვის 28. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა მოწოდება გამოსცა. „კორნილოვის გამოსვლას ღირსეული მოწინააღმდეგენი შეხვდებიან. მთავრობა კონტრ-რევოლუციას ებრძვის და ამ ბრძოლაში მას მომხრედ დემოკრატია გაუხდება". წესრიგისა და სიწყნარის დასაცავად რევოლუციური შტაბი შესდგა.

### დადგენილება პეტროგრადის სამხედრო გუბერნატორისა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29. სამხედრო მდგომარეობის დებულების თანახმად ვაცხადებ: 1) აიკრძალება გაზეთებში გამოცხადება: ა) კორნილოვისა და მისი შტაბის რაიმე მოწოდების დაბეჭდვა; ბ) ისეთ წერილებისა თუ ბრძანებათა დაბეჭდვა, რომელიც მიმართულია დროებითი მთავრობის წინააღმდეგ; გ) არა-ოფიციალი ცნობების დაბეჭდვა იმ ზომებზე, რომლებსაც იღებს დროებითი მთავრობა ანუ სამხედრო და საზღვაო მინისტრი აჯანყების ჩასაქრობად; დ) ტყუილი ცნობების დაბეჭდვა მასზედა, რომ ჯარების ესა და ეს ნაწილები ანუ ხალხი მიემხრო აჯანყებულებს; 2) პირველი მუხლის დარღვევისათვის დამნაშავენი დაპატიმრებულნი იქნებიან ადმინისტრატიულის წესით სამ თვემდის ვადით ანუ დაჯარიმებულნი 3000 მან.; ბ) გაზეთები და სტამბები დაიხურება ადმინისტრატიულის წესით ანუ ჩამოერთმევა მათ პატრონს; 3) ეს დადგენილება ძალაში შედის 29 მარიამობისთვიდამ 1917 წ.

გენ.-გუბერნატორი სავინკოვი.

### პურიშკევიჩის დაჭერა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 28. დვინსკში დაკავებული სახელმწიფო სათათბიროს წევრი პურიშკევიჩი ჩამოიყვანეს პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბში და საღამოს გაგზავნეს ვიბორგის საპატიმროში.

### სამი გენერლის სამართალში მიცემა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29. სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ ტელეგრაფით განკარგულება გასცა: გენერალ დენიკინის, მარკოვის და ორლოვის სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოში მიცემის შესახებ.

### სათათბიროს წევრი ალადინი

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29. კორნილოვის შეთქმულობაში მან წილობას იღებდენ ზავოიკო და პირველ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი ალადინი.

### სამხედრო წესები მოსკოვში

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29. დროებითი მთავრობის ბრძანება მმართებელ სენატისადმი. მოსკოვში და მის მაზრაში გამოცხადდეს სამხედრო წესები.

მინისტრ თავმჯდომარე, სამხედრო და საზღვაო მინისტრი ა. კერენსკი.

იუსტიციის მინისტრი ზარუდნი.

### კორნილოვის ჯარების ლაშქრობა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 28. მუსულმანთა საბჭოთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიტყო თუ არა, რომ იმ ჯარებში, რომლებიც პეტროგრადზე მოდიოდნენ, სხვათა შორის „ტუზემნაია" დივიზიაც ურევია, დროებითი მთავრობის ნებართვით, გაგზავნა საგანგებო წარმომადგენელნი ურჩიონ მათ, რომ მონაწილეობა არ მიიღონ სამოქალაქო ომში. წარმომადგენელნი მივიდნენ სადგურ სემრინზე და დაიწყეს აქედან მოლაპარაკება ტელეფონით სადგურ სუსანინოზე დივიზიის წინა რაზმის უფროსთან. შემდეგ წავიდნენ სადგურ სუსანინოდან მოსალაპარაკებლად ჯგუფი „ტუზემნაია" დივიზიის ოფიცრებისა და ჯარისკაცთა. უმეტესობა ოფიცრებისა აღმოჩნდა რუსობა, ჯარისკაცთა—ინგუშები. მუსულმანთა წარმომადგენლებმა აუხსნეს მიზანი თავის მოსვლისა და განუცხადეს ოფიცრებს, რომ ყოვლად შეუწყნარებელია ჩარევა „ტუზემცებისა" პოლიტიკურ ბრძოლაში, და ბრმა იარაღად გამოყენება ცალკე მოწინააღმდეგე ჯგუფებისა. მოლაპარაკებამ ვერ გასჭრა. ოფიცრებმა განაცხადეს, რომ ისინი სავსებით კორნილოვის მხარეზე არიან და დაჰპირდნენ, რომ წარმომადგენლების ჩამოსვლაზე მალე დივიზიას შეატყობინებთო. „ტუზემნაია" დივიზია შესდგება 6 პოლკისაგან. წინ მოდის ინგუშებისა, მერე ჩაჩნებისა და შემდეგ ჩერქეზებისა. სადგურ ანტროპშინოსთან დაბანაკდა მთავრობის ჯარების ერთი რაზმი.

### დონის ყაზახთა პოლკი

**პეტროგრადი.** მარ. 29. დონის ყაზახთა მე-4 პოლკი სრულ ნდობას უცხადებს დროებით მთავრობას და ჰპირდება, რომ კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად მხარს დაუჭერს.

### კრონშტადტის გარნიზონი

**პეტროგრადი.** მარ. 28. კრონშტადტის დეპუტატთა საბჭო აცხადებს, რომ კრონშტადტის მეციხოვნენი ცენტრალ კომიტეტის პირველ მოწოდებისთანავე დარაჯად დაუდგებიან რევოლუციას და მთელ სამხედრო ძალას კომიტეტის განკარგულებას გადასცემენ.

### დამკვრელი ბატალიონები

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. კომიტეტების სამხედრო განყოფილება აცხადებს, რომ დამკვრელი ბატალიონები კონტრ-რევოლუციონერთა წინააღმდეგ უნდა ამხედრდნენ. განყოფილება მოუწოდებს: აასრულეთ მხოლოდ დროებით მთავრობის ბრძანება, რადგან მხოლოდ იგი მოქმედობს დემოკრატიასთან ერთად.

### კორნილოვის დამარცხება

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 30. კერძო თათბირზე კორნილოვის შეთქმულების დასამარცხებლად შემდგარ კომიტეტის წევრმა განაცხადა, რომ სულყველაფერი დასრულდა, რევოლუციურ პოლკებს შორის კავშირია აღდგენილი. კორნილოვის ძალას შეადგენენ: 80 ტეკინელები, დამკვრელი პოლკი და ცხენოსანთა ბატალიონი. შეტაკება არ მომხდარა. ყაზახებმა განაცხადეს, რომ მთავრობას წინ არ აღუდგებითო. კრონშტადტის ფლოტი მხარს გვიჭერს. ფინლიანდიიდან და კრანშტადტიდან პეტროგრადს ჯარი ჩამოვიდა. პეტროგრადის გარშემო მცხოვრებნის ხეართსა და ბარიკადებს აკეთებენ.

ვოიტინსკიმ რიგის გარეშე განაცხადა, რომ ლაშქრისთვის ერთი საზიზღარი სახელი გა ნი—კორნილოვის სახელიაო. ვოიტინსკი ამტკიცებდა, რომ კორნილოვი გერმანელების შტაბის ინტერესებს ასრულებდაო.

### ხალხის თავისუფლების პარტია

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 28. მოხდა ხალხის თავისუფლების პარტიის თათბირი. პარტია ჰკიცხავს კორნილოვს, იგი აღნიშნავს დროებითი მთავრობა ისე უნდა შესდგეს რომ არც სხვის გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს და რუსეთის მოსალოდნელი უბედურობაც აცილოსო.

### საზოგადო მოღვაწეთა დადგენილება

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 28. როძიანკოს თავმჯდომარეობით საზოგადო მოღვაწეთა საბჭოს სხდომა მოხდა. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ესლა შინაურ არეულობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან იგი გერმანელებს შეუწყობს ხელსო.

### რკინის გზის მსახურთა დადგენილება

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 28. მოსკოვის რკინის გზის მსახურთა თათბირზე განაცხადეს, რომ რკინის გზის კავშირი თავის ვალად დებულობს კორნილოვის ჯარის წინააღმდეგობას. დაადგინეს: ეთხოვოს მთავრობას, რომ კავშირის კომისრები სამთავრო აგენტებად აღიარონ.

### კავკასიის მთავარ-სარდლის განცხადება

**პეტროგრადი.** მარიამოსთვის 29. კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდალ პრჟევალსკისაგან კერენსკის მოუვიდა შემდეგი ტელეგრამა: „ვრჩები ერთგული ახალი მთავრობისა. ყოველი ცალკე გამოსვლა ჯარისა ამჟამად და მონაწილეობის მიღება სამოქალაქო ბრძოლაში მიმაჩნია ყოვლად დამღუპველად მამულისათვის". კერენსკიმ უპასუხა პრჟევალსკის: „თქვენი განცხადება სავსებით შეეფერება სამშობლოისა და ჯარის ინტერესებს. დროებითი მთავრობა და მის-მიერ წარმოდგენილ ქვეყნის სახელით გიცხადებთ თქვენ სრულ მოწონებას და მადლობას. მიღებულია ზომები სამოქალაქო ომის აცდენისათვის. მთელი ჯარი, დემოკრატია და ქვეყანა მხარი-მხარ მიდიან დროებით მთავრობასთან ერთად. პეტროგრადში სრული სიწყნარეა.

### გენერალ შჩერბაჩევის ტელეგრამა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29. „რათა აცილებულ იქმნას ყოველგვარი შუღლი, კომიტეტთან შეთანხმებით მოვიწვევ ყველას თავის მოვალეობის შესრულებაზე—დაიცვან სამშობლო გარეშე მტერისაგან სრული მორჩილებით დროებით მთავრობისადმი".

გენერალი შჩერბაჩევი.

### თათბირი ბანაკში

**პეტროგრადი.** მარ. 29. გენერალური შტაბის მთავარი გამგეობა იწერება, რომ თათბირი, რომელიც გაიმართა მთავარ-სარდლის ბანაკში 13 მარიამობისთვეს, დანიშნული იყო თვით კერენსკისაგან და მასში მონაწილეობა არ მიუღიათ კორნილოვს და ლუკომსკის, რის გამოც ამ თათბირს არავითარი კავშირი არა აქვს მას მერე მომხდარ ამბებთანაო.

### მოკავშირეთა ელჩები პეტროგრადში

**პეტროგრადი.** მარ. 29. მოკავშირეთა ელჩები დიდის ყურადღებით ეპყრობიან მომხდარ ამბებს და ყოველ დღე ნახულობენ გარეშე საქმეთა მინისტრს, რომლისგანაც ტყობილობენ სწორ ცნობებს, მოკავშირეთა ელჩებმა წინადადება მისცეს დროებით მთავრობას, მზათა ვართ ყველაფრით დაგეხმაროთ ასეთ მძიმე დროსაო.

### მოწოდება ყაზახებს

**პეტროგრადი.** მარ. 29. კომიტეტების ყაზახთა სექციამ ყაზახობას და რევოლუციურ ჯარს მოწოდებით მიმართა. მოწოდება აღნიშნავს: მოღალატე გენერალთა ჯგუფს ყაზახობა მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ აუმხედრებია. მოღალატე ჯგუფს ყაზახობის „ოპრიჩნიკებად" გახდომა ჰსურს მოწოდება სთხოვს ყაზახობას ასეთ სირცხვილის თავიდან აცილებას და იწვევს ჯარისკაცებს დაღუპვის გზაზე დაყენებულ სამშობლოს სახსნელად და ვილჰელმისა და მოღალატე კორნილოვის საწინააღმდეგოდ.

### ყაზახთა დელეგაცია კორნილოვთან

**პეტროგრადი.** მარ. 29. მინისტრ-თავმჯდომარემ ყაზახთა კავშირს კორნილოვთან სასწრაფოდ დელეგაციის გაგზავნის ნება არ მისცა. ამის გამო სამხედრო სამინისტროს გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც დელეგაცია მოვიდა, დროებით მთავრობას კორნილოვის მოწოდება ჩაუვარდა ხელში, რამაც გამოარკვია, რომ კორნილოვს და მის თანამოაზრეთ ამბოხება მოეხდინათ. ამის გამო რა თქმა უნდა დელეგაციასთან მოლაპარაკება მეტი იქნებოდაო.

### გზათა მინისტრის მოწოდება

კავკასიის მხედრობის საოლქო საბჭომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო პეტროგრადიდან: გზათა მინისტრმა მოწოდებით მიმართა რკინის გზების უფროსებს გაფაციცებით თვალყური ადევნონ, რომ მოსკოვისაკენ ეშელონებმა არ გაიარონ რჟევოდან, ვიაზმიდან და ბრიანსკიდან. თუ ძალად დააპირებენ გავლას მოსკოვისაკენ, მიღებულ იქმნას უკიდურესი ღონისძიებანი და სხვა საშუალებათა შორის რკინის გზის ლიანდაგიც აჰყარეთ. საოლქო მხედრობის უფროსმა სამხედრო წესები გამოაცხადა მთელ მოსკოვის ოლქში, სასტიკად აკრძალულია მიტინგები, „პოგრომები" და თვითგასამართლება. მეორე ბრძანებით მოსკოვში წესდება სამხედრო ცენზურა. კორნილოვის წინადადებაზე—ჩემს ბრძანებას დაემორჩილენითო, ვერხოვსკიმ პასუხად შეუთვალა მას: შიშის ზარმა ამიტანა, როცა თქვენი ბრძანება წავიკითხე, რომ კანონიერ მთავრობას არ დაემორჩილო; სამოქალაქო ომი თქვენ დაიწყეთ; ეს რუსეთის დაღუპვაა; არ შემიძლიან ფიცის გატეხა, ფიცი ძველი ხელთათმანები ხომ არ არისო.

**სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 28. ინჟინერი პალჩინსკი დაინიშნა თანაშემწედ პეტროგრადის გენერალ-გუბერნატორისა.

**ფრეილინა ვირუბოვას განთავისუფლება.**

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 28. გამომძიებლებმა განათავისუფლეს დაპატიმრებული ყოფილი ფრეილინა ვირუბოვა.

**ლიტანია საეკლესიო კრებისა**

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 28. საეკლესიო კრების მონაწილეებმა მთელი შემადგენლობით გამართეს ლიტანია ტროიცკო-სერგიევის ლავრისკენ.

**მუშათა მილიცია**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 28. ხალხის დამცველ კომიტეტმა დაადგინა შეადგინოს მუშათა მილიცია' რომელმაც უნდა დაიცვას მუშათა უბნები და ქარხნები პეტროგრადში.

**მე-5 არმიის განცხადება**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 28. მე-5 არმიისგან კერენსკის მოუვიდა ტელეგრამა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მე-5 არმია ერთხმად ემხრობა დროებით მთავრობას, სთვლის დალატად ყველა იმათ გამოსვლას, რომლებიც ცდილობენ ხელთ იგდონ სახელმწიფო ხელისუფლება, ეს იგივეა, რაც ფრონტის გაღებაო, და მოითხოვენ სასტიკ სასჯელს ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ სახელმწიფო ცვლილება.

# ომი და ზავი

## დეპეშები

თბილისის დეპეშათა სააგენტოს დღეს რუსეთის მთავარ-ბანაკის ცნობა არ მოსვლია.

### საფრანგეთის ფრონტი

**პარიზი.** მარიამობისთვის 28. ოფიციალი. მაასის მარჯვენა ნაპირზე „304" სიმაღლის რაიონში და ლაფოს ტყესთან საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს. მარიამობისთვის 26 და 27 გერმანელთა 5 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**პარიზი.** მარიამობისთვის 29. დღის ოფიციალი. სერნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. ვოსკალინის სამხრეთ-აღმოსავლეთით და კასკას ჩრდილოეთით შამპანში მტერს თავს დავესხით და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. მაასის ორსავე მხარეზე საარტილერიო ცეცხლია. დანარჩენ ფრონტზე ღამემ მშვიდად ჩაიარა.

მფრინავთა მოქმედება. წუხელ გერმანელ მფრინავებმა დიუნკერკს აუტეხეს სროლა. ყუმბარები სხვათა შორის ჰოსპიტალსაც მოხვდნენ. დაჭრილია 15 ქალი.

**მანეთაანის ფასის დაცემა**

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 29. მანეთის ფასი ჩამოვიდა 110 მარკაზე—100 მანეთში.

**შვეცია და ომი**

**ლონდონი.** მარიამობისთვის 28. რადგანაც გერმანეთს არ შეეძლო მიწერ-მოწერა ჰქონოდა უცხო სახელმწიფოებთან, გარდა მოკავშირე სახელმწიფოებისა, მან ეს საქმე დააკისრა შვედეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. გერმანეთის ელჩები სხვა სახელმწიფოებში ყველაფერს საქმეს ჯერ სტოკჰოლმშიატყობინებდნენ შვედეთის სამინისტროს, ხოლო ეს უკანასკნელი აწვდიდა ცნობებს ბერლინში. ფიქრობენ, რომ შვედეთის მთავრობა მიეცემა საშუალება განმარტოს ეს ამბავი ადრე, ვიდრე შეერთებული შტატები გადასდგამდენ შემდეგ ნაბიჯებს. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანეთის წარმომადგენელი არგენტინაში გაძევებული იქნება და ამ სახით მო-

ლო მოლოდება კავშირს გერმანიასა და არგენტინას შორის.

## ბერნანდ შოუს აზრი სტოკჰოლმის კონფერენციაზე

ფაბიანის საზოგადოების საზაფხულო კურსებზე ბერნარდ შოუს სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ უთქვამს: მე სკეპტიკურად ვუყურებ სტოკჰოლმისკენ გამგზავრებას და არც ვიცი თუ რისთვის უნდა წავიდეთ. სოციალისტური კონფერენცია ომს სისულელედ სთვლის. მას ჩხუბის გადასაწყვეტად მიღებულ ბარბაროსულ მეთოდს უწოდებენ, მაგრამ აქ იწყება კომედია. ზოგიერთ სოციალისტებს ჰგონიათ, რომ საზავო პირობების შემუშავებაში დიდ როლს ითამაშებენ, მაგრამ მალე დარწმუნდებიან, რომ სცდებიან. ის აზრი, ვითომც, რომელიმე ჯგუფს სოციალისტებისას, მაგალითად სოციალისტ პაციფისტებისას, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მის შეხედულებათ და თეორიებს ანგარიში გაუწიონო მტკნარ სიცრუედ უნდა ჩაითვალოს. ვინ მიუგდებთ მათ ყურს? ფრანკ პრუსიელთა ომი გერმანეთის გამარჯვებით დასრულდა. გერმანეთმა ხელთ იგდო რაც კი მოახელა. საფრანგეთმა დაჰკარგა ელზას ლორენი და დიდი კონტრიბუციაც გადაიხადა. ამ ანექსიას წინ აღუდგნენ გერმანელი სოციალისტები, მაგრამ მათ ციხეში ამოაყოფინეს თავი. სიძულვილით ომის გათავება არ შეიძლება. რაკი ჩავებით ბოლოც უნდა გავიტანოთ. მერე ღირს ამის სთქმელად სტოკჰოლმში გერმანელების ნახვა?

## იაპონიის ჯარის მობილიზაცია

31 მკათათვის თარიღით, სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის ოფიციოზში დაბეჭდილია ტელეგრამა ნიუ-იორკიდამ, რომ ამ დღეებში მოელიან იაპონურ ჯარების მობილიზაციას სამხრეთ-მანჯურიაში. მობილიზაცია გამოწვეულია რუსეთის დასახმარებლად, სხვა არავითარ განმარტებას გაზეთი არ იძლევა.

## გერმანელთა მამულიშვილური პარტია

**სტოკჰოლმი.** მარიამობისთვის 28. გაზეთების ცნობით, კენიგსბერგში შესდგა ახალი მამულიშვილური პარტია. პარტია მოითხოვს ბელგიის და კურლიანდიის გერმანეთთან შეერთებას და ლონგვისა და ბრიეს რაიონების. საპატიო წევრად ჰერცოგ იოჰან-ალბერტ მაკლენბურგსკი აურჩევიათ, პირველ თავმჯდომარედ—ადმირალი ტირპიცი.

# ეროვნული საკითხი

## ლედნიცკი სტოკჰოლმში

**სტოკჰოლმი.** მარიამობისთვის 25. ლედნიცკიმ განაცხადა, რომ იგი სტოკჰოლმში მხოლოდ იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ ვარშაველ პოლიტიკებთან მოლაპარაკებით მოახერხოს იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც უცხო ჯარის მიერ პოლონელთა ადგილების დაცლას შეეხება. რუსეთის მთავრობა მზადაა განათავისუფლოს ყველა გალიციის ომის დროს ტყვედ წაყვანილი მშვიდობიანი მცხოვრები გერმანულ და ვენგრიულ ტყვეების პირთა გარდა. ამის ასრულება კი ავსტრო-ვენგრიულ მთავრობაზეა დამოკიდებული, რომელმაც მოქალაქე რუსი ტყვეები უნდა გაანთავისუფლოს. სტოკჰოლმის თათბირებზე მონაწილეობდნენ დროებით სახელმწიფო საბჭოს წევრი როსტოვოროვსკი და მის საბჭოს წარმომადგენელი ვედეკინდი, ვარშავიდან სხვებსაც მოელოდნენ, მაგრამ მათ ჩამოსვლა ვერ მოახერხეს. ლედნიცკიმ განაცხადა, რომ რუსის მთავრობა პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღსადგენად მიილტვის. რუსი პოლონელები მოითხოვენ გაერთიანებულ და დამოუკიდებელ პოლონეთის აღდგენას, რომელსაც თავისუფალი გზა უნდა ჰქონდეს ზღვისკენ.

# რუსეთი და უცხოეთი

## სრულიად რუსეთის საქალაქო ბანკი

მოსკოვში სრულიად რუსეთის საქალაქო ბანკის დასაარსებლად საზოგადო ბანკების თავმჯდომარეთა თათბირი მოხდა. მონაწილეობდნენ: იაროსლავის, ყაზანის, ასტრახანის, ტამბოვის, კოსტრომის, ხარკოვის, სარატოვის და სხვა ქალაქების ბანკების დირექტორები. მოსკოვიდან დაესწრო სახალხო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე მ. მ. ავსარქისოვი თავმჯდომარეობდა სარატოვის საქალაქო ბანკის დირექტორი პ. ი. შილოვცევი.

შეიმუშავეს სრულიად რუსეთის ბანკის ძირითადი დებულებები.

ღვინობისთვის დამლევს მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის საქალაქო ბანკების ყრილობა.

მომავალ სრულიად რუსეთის საქალაქო ბანკის მიზანი—საზოგადო თვითმართველობათა სესხის მიცემაა. ძირითადი თანხად—10 მილიონი მანეთი აქვთ.

## მოსკოვის სტუდენტების დადგენილება

მოსკოვის სტუდენტების საერთო ყრილობამ დაადგინა მომავალ სამოსწავლო წელს მეცადინეობა შესწყდეს.

## ოქროს ფასი

**ბლაგოვეშჩენსკი.** მარიამობ. 27. ოქროს ფასმა აიწია, მისხალში თხოულობენ 214 მანეთს. ბანკები ღარ იღებენ. წვრილი ფული ცოტავდება, ჩინელებს იგი საზღვარ გარედ გააქვთ და იქ ასაღებენ.

### ოდესის ქალაქის საქმე

პირველ სადღესასწაულო სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარედ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ლორთქიფანიძე (სოც. რევ.) აირჩიეს ქალაქის თავად.

## პურის ფასის ერთი-ორად აწევა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 29. დროებითი მთავრობისაგან. სასურსათო საქმე მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია. ქალაქები, მთელი გუბერნიები და თითქმის ფრონტიც სიმშილს განიცდიან, თუმცა რუსეთში პური საკმაო არის. კანონით დამტკიცებული იყო, რომ მეტი პური სახელმწიფო მოხელეთათვის გადაეცათ, მაგრამ ამას არ ასრულებენ. ზოგი შარშანდელ მოსავალიდან დარჩენილ პურსაც არ იძლევა. ზოგიერთს ხომ სხვასაც უშლის პურის გადებას. საფრთხე კიდევ იმით ძლიერდება, რომ რამდენიმე გუბერნიებში პურის შეტანა მხოლოდ წყლით შეიძლება და თუ მალე არ შეიტანეს და პურის ხსენებულ გუბერნიებში, საზამთროდ ხსენებულ გუბერნიებს სიმშილი უქადით. სიმშილთან ერთად კი თავს წამოყოფს ანარქია. მთავრობამ გადასწყვიტა როგორმე თავიდან აიცილოს ხსენებული საფრთხე სამშობლოს და გადაწყვიტა ზომები მიიღოს რომ ყველას შეაგნებინოს თუ რა საფრთხეს ამზადებენ თავიანთი გაუგუნრობით, პურის გადამალვით. ამასთან სიმართლე მოითხოვს პურზე დიდ ფასების დამტკიცებას, რომ არავითარი საბაბი არ ჰქონდეთ პურის გადამალვისა. მთავრობამ გადაწყვიტა პურის ფასის ერთი-ორად აწევა, ამ სთან ერთად მთავრობა აცხადებს, რომ ეს საბაბად არ მიიღონ დანარჩენ მცხოვრებლებმა და შემოსავლის გადიდება არ მოითხოვონ. მთავრობა ზომებს მიიღებს, რომ პურის მწარმოებლებმა თავის დროზე აასრულონ თავიანთი მოვალეობა, რომ სიმშილი არ ჩამოვარდეს.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **ილია ჭავჭავაძის პანაშვიდი.** გუშინ მარიამობისთვის 31-ს, სადგილმამულო ბანკის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქუჩაზე) ბანკის ადმინისტრაციის თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავად. პანაშვიდს დაესწრნენ ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ **თბილისის პოლიტეხნიკუმში** 580 თხოვნაა მიცემული. მიღებულ ახალგაზრდათა ვინაობა ენკენისთვის 1—5-ს გამოცხადდება. ყველა პროფესორები ჩამოვიდნენ თბილისში, გარდა ბ ნ მელიქ შვილისა.

◆ **ქალაქის საბჭოს უხუცესთა კრება.** მარიამობისთვის 30-ს მოხდა ქალაქის საბჭოს უხუცესთა სხდომა, რომელმაც განიხილა და მცირეოდენ ცვლილებით შეიწყნარა საბჭოს სახელმძღვანელო „ნაკაზის" პროექტი.

◆ **საეკლესიო კრება.** მარიამობისთვის 30-ს საეპარქიო სასწავლებელში მოხდა სამღვდელოებისა და მრევლის წარმომადგენლების კრება დელეგატების ასარჩევად, რომელნიც საეკლესიო კრებას უნდა დაესწრნენ ენკენისთვის 8 ს და საქართველოს კათალიკოზ პატრიარქს აირჩიონ. დელეგატებად არჩეულ იქმნენ. მრევლის მხრივ: ი. აბულაძე, ექ. მაღალაშვილი, გ. იმნაიშვილი, ბ-ნი ჩიქოვანი, ი. რატიშვილი და ექ. ს. ვირსალაძე; სამღვდელოების მხრივ დეკ. ს. შოშიაშვილი, დეკ. გ. გამრეკელი და მღ. მ. ფხალაძე; დიაკვნების მხრივ დ. ბახტაძე და მღ. ლ. ზუბკაშვილი; მედავითნეების მხრივ ი. ბოჭორიშვილი

◆ **კოოპერატივის მოსამსახურეთა გაფიცვა.** მარიამობისთვის 30-ს „თბილისის კოოპერატივის" გაფიცული და სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურენი მივიდნენ კოოპერატივის მაღაზია-საწყობში, ძალათ გამორეკეს მომუშავე მოსამსახურენი და მაღაზია დაკეტეს. ამ ჯგუფის უწესოებას მხარი დაუჭირეს თბ. სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების კოოპერატივის გაფიცულმა მოსამსახურეებმა და პროფესიონალ მოსამსახურეთა კავშირის წევრებმა. ამასთანავე უკანასკნელები დაემუქრნენ როგორც მომუშავე მოსამსახურეებს, აგრეთვე მაღაზიის ადმინისტრაციას, რომ თუ მაღაზია არ დაგიკეტნია, აქაურობას დაგლეწავთო. მაღაზიის ადმინისტრაციამ საჩივრით მიმართა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს და მილიციის უფროსს.

◆ **გ. ნათაძე** ქალაქის მოურავის ამხანაგის თანამდებობას თავს ანებებს.

◆ **სარევოლუციო თავდარიგი.** ყველა ისეთ დაწესებულებებში, რომლებითაც კონტრ რევოლუციონერებს შეეძლებათ სარგებლობა, ჯარებია ჩაყენებული.

◆ **უკრაინელთა კომისარების ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდნენ უკრაინელთა სამხედრო კომისარები პრაპ. ხიმინკო და გასენკო, რომელნიც მოელაპარაკებიან კავკასიის მხედრობის მთავარსარდალს უკრაინის საქმეებზე და უკანასკნელ ამბებზე.

◆ **ბოლშევიკების ყრილობა.** ენკენისთვის 15-ს თბილისში დანიშნულია სოც.-დემოკრ. პარტიის მეუმრავლესეთა ფრაქციის დელეგატების საოლქო ყრილობა.

◆ **საუნივერსიტეტო სწავლის გადადება.** კიევის უნივერსიტეტის კანცელარია აცხადებს, რომ ჯერ კიდევ არ მიგვიღია ცნობა შესახებ სწავლის დაწყებისაო.

◆ **სტუდენტების ვაგონი.** ენკენისთვის 6-ს, დილის 10 საათზე, თბილისიდან გავა ხარკოვ-კიევში სტუდენტების ვაგონი № 6. ვისაც წასვლა სურს, უნდა ჩაეწეროს სტუდენტ გერშენზონთან (მელიქოვის, 11). საღამოს 4—7 საათ. ჩაწერის დროსვე უნდა წარადგინოს ფული.

◆ **ჭრა-კერვის სკოლა.** ენკენისთვის პირველისათვის იხსნება ჭრა-კერვისა და სხვა და სხვა ხელოვნურ ნაკეთობების სასწავლებელი, მიიღებიან მოწაფეები და შეგირდები. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 15.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ეგნატე დვალის ლექსთა წიგნაკები: „გამარჯვება", „რაჭველი", „ქალი", „საქართველო", „მწარე სიმღერები" და „ილია და აკაკი". თითო წიგნაკი 30 კაპ. ღირს.

◆ **ქალთა სამხატვრო სახელოსნო** სასწავლებელში იწყება სწავლა და მიღება პირველ სექტემბრიდან. (ხარფუხი. სურპ-სარქისის ქუჩა № 48, „განათლების" სასწავლებელი).

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო იოს. ავალიშვილის „მათემატიკური ტერმინები" ქართულ-რუსული და რუსულ ქართული. ფასი 1 მან.

◆ **მიტროპოლიტ ლეონიდეს განცხადება.** საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრემ, თბილელმა მიტროპოლიტმა, ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში შემდეგი განცხადება შეიტანა: „ბოლო დროს გახშირდა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ სამღვდელო პირთა სამსახურიდან დათხოვნა, ეკლესიის გასაღების და კონების ჩამორთმევა. ასეთი მოქმედება არსებითად ეწინააღმდეგება სასულიერო მთავრობის უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს მინისტრთა ყოფილ თავმჯდომარის თ-დ ლვოვისაგან. სამღვდელო პირთა დათხოვნა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს არ შეუძლია. რაიმე უსიამოვნების და უწესოების დროს საერო მთავრობას ნება აქვს ამა თუ იმ სასულიერო პირის წინააღმდეგ საჩივარი აღძრას და მისი დაჩქარებით განხილვა სთხოვოს სასულიერო მთავრობას. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გუბერნიის კომისრებს განკარგულება დაუგზავნა, რომ ამიერიდან აეკრძალოთ ადგილობრივ აღმ. კომიტეტებს სამღვდელო პირთა გადაყენება. განკარგულება მოუვიდა აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის კომისარს. კომისარმა მაზრის და სოფლების აღმასრ. კომიტეტებისადმი უკვე გასცა შესაფერი განკარგულება, რომ ხსენებულმა კომიტეტებმა არ მიისაკუთრონ ზედმეტი უფლება.

◆ **შაბათს, 2 ენკენისთვეს,** ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია პირველ უბნის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კრება საღამოს 8 საათზე. ასარჩევია ახალი წევრები, პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ ვთხოვთ მობრძანდნენ.

◆ **ხელისმომწერთა საყურადღებოდ.** „საქართველოს" გამომცემლობა იძულებული გახდა დროებით კიდევ მოემატებინა გაზეთისთვის ფასი 15 კაპიკამდე, ამიტომ „საქართველოს" კანტორა სთხოვს წლიურ ხელისმომწერთ, ვისაც 15 მანეთი გადახდილი აქვთ კიდევ გადაიხადონ დამატებითი ექვსი მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში 15 ენკენისთვიდან გაზეთის გზავნა მოესპობათ.

## ქუთაისი

◆ **გ. მარგველაშვილის** წიგნი „ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი" უკვე დაიბეჭდა და ისყიდება. ფასი 1 მანათია.

◆ **იარაღის ტარების აკრძალვა.** მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა, რომ დროებით აეკრძალოს იარაღის ტარება ქუთაისში მოქალაქეთ, სამხედრო მოხელეთ სალდათებს და აფიცრებსაც.

◆ **ქართული ენა.** ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა მიწერილობა დაუგზავნა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ საქმეების წარმოება ეხლავე ქართულ ენაზე დაიწყონ და თავიანთ მხრივ ასეთივე განკარგულება დაუგზავნონ სარაიონო კომიტეტებსაც. ამასთანავე კომიტეტებმა ხალხს უნდა შეატყობინონ, რომ კომიტეტებში წარსადგენი თხოვნები და ყოველგვარი განცხადებანი ქართულად სწერონ.

◆ **მასწავლებელთა ყრილობა.** ამა წლის 3 ენკენისთვეს ქ. ქუთაისში დანიშნულია საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების კრება.

**ყრილობის პროგრამა**

1. მომენტის შესახებ.
2. სკოლების რეორგანიზაცია და ნაციონალიზაცია.
3. მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა.

სკოლების მართვა-გამგეობა.

5. მასწავლებელთა მიღება და გადაყვან-გადმოყვანა.
6. სწავლის დაწყება.
7. კურსების შესახებ.
8. ჯარში გაწვეულ მასწავლებლების შესახებ.

## ბაღდათი.

◆ **ბაღდათ-აბასთუმნის გზაზე ყაჩაღობა.** გუბერნიის კომისარმა, ბ მაგრ. გიორგაძემ განიხილა ბაღდათის კომისარის მოხსენება ბაღდათ-აბასთუმნის გზაზე სისტემატიურ ყაჩაღების შესახებ და საჭიროთ სცნო თავდამცველ რაზმის გაძლიერება. ამის გამო კომისარმა მიმართა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და სთხოვა გამოგზავნოს კომისარის განკარგულებაში ორი როტა ჯარი, რომლისთვისაც განსაკუთრებული სადგომი იქნება დათმობილი. ვიდრე ამ კითხვას განიხილავდეს მუშ. და ჯარ. კაც. საბჭო, კომისარი თხოულობს, მას განკარგულებაში მიეცეს 40 კაცი.

## ფოთი

◆ **ნ. ი. ნიკოლაძე** სამუდამოთ სტოვებს ფოთს და თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა გადააქვს დიდ ჯიხაიშში. მან უარი განაცხადა წინადადებაზე დაეკავებინა ჭიათურის შავის ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის ადგილი და გადაწყვეტილი აქვს სავსებით მწერლობას მოანდომოს თავისი ცოდნა და ძალ ღონე.

## ზაქათალა

◆ აგვისტოს 29-ს კალგანში მოხდა ზაქათალის ოლქის და სამხრეთ დაღესტნის მცხოვრებთა დელეგატების კრება. ყრილობამ ითათბირა ურთიერთ შორის და ქართველობასთან დამოკიდებულობის შესახებ და დაადგინა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომ კეთილ-მეზობლური განწყობილებანი ქართველებთან და სხვა ეროვნებებთან არავინ დაარღვიოს.

# ქალაქის საბჭო

მარიამობისთვის 28.

(დასასრული*)

**ერთმილიონიანი სესხი.**

გამგეობის წევრმა ხმარნოვმა წაიკითხა მოხსენება შესახებ ერთ მილიონიან მოკლევადიან სესხის აღებისა. ეს ფული ძლიერ საჭიროა, რადგან ქალაქის კასაში მომავალი ღვინობისთვიდან სახარჯო ფული აღარ იქნება და გამგეობას საშუალება არ ექნება მიმდინარე ხარჯებს გაუძლვეს. სესხის აღებას თუ ნებას დართავს საბჭო, გამგეობა წელგამაგრებული იქნება და ადვილად შესძლებს მომავალი ხარჯების დასაფარავად გრძელვადიანი სესხის აღებას.

მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ხმ. ფ. მახარაძემ დაასურათა საერთო ფინანსიური მდგომარეობა საერთოდ რუსეთისა და კერძოდ თბილისისა და მოითხოვა, რომ ბანკებს კონტროლი დაენიშნოს და იძულებულ ჰყონ ბანკები უპროცენტოდ გაუხსნან ქალაქს კრედიტი.

საბჭომ გამგეობის მოხსენება შეიწყნარა.

**საფუთო გადასახადი.**

თითქმის უკამათოდ იქმნა შეწყნარებული გამგეობის მოხსენება შესახებ საფუთო ბეგრის დაწესებისა ქალაქის სასარგებლოდ ყველა საქონელზე, რომელიც თბილისში შემოდის და გადის. ეს გადასახადი რამდენიმე ასი ათას მანეთს შესძენს ქალაქს წლიურად.

კრება დაიხურა ნაშუაღამევის 12 საათზე.

*) იხ. „საქ." № 191.

# წესები პურისა და ფქვილის ბარათებით მისაღებათ

1) პურის ბარათის ტალონები გამოდგებიან მხოლოდ მათზე აღნიშნულ დღეს.

2) მთელი დღის რაციონი მიეცემა ორი ტალონით.

3) რაციონის რაოდენობას საზღვრავს ქალაქის სასურსათო კომიტეტი თანახმად იმისა, თუ რამდენია შემონახულ პურის რაოდენობა.

4) დაკარგულ ბარათების მაგიერი არ მიეცემა.

5) პურის ბარათი მიეცემა მხოლოდ პატრონს საკუთარი ბინისას, მის ბარათში ჩაიწერება ყველა, ვინც მის ბინაზე ცხოვრობენ და ერთად სადილობენ.

**შენიშვნა:** 1) მოსამსახურე, ბინის დამქირავებელი და სხვანი, რომლებიც არ შედიან იმ ოჯახის შემადგენლობაში, სადაც სცხოვრობენ, მიიღებენ ბარათს დამოუკიდებლად.

**შენიშვნა 2:** თუ რომ ბინის პატრონების მხრით შემჩნეული იქნება ბოროტ-მოქმედება იმ პირთადმი, რომლებიც მით ბარათშია შეტანილი, მაშინ მას ბარათი წაერთმევა.

6) ფქვილის ბარათი (საქმელის მისართავად) მიეცემათ ყველა იმათ, ვინც საკუთარ ოჯახობას ეწევა (სამზარეულო).

7) ბარათები, რომელზედაც შესწორებები და წაშლილები იქნება გაუქმდება.

8) პურისა და ფქვილის ბარათის მისაღებათ აუცილებელია წარადგინოთ იმ უბნის სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, შაქრის ბარათი და დოკუმენტები შემოწმებული, მთავრობისა, საზოგადო და კერძო ორგანიზაციის მიერ, კავშირების და სხვ.

**შენიშვნა:** 1) ასეთ დოკუმენტებათ გამოდგებიან: პასპორტი, მეტრიკული მოწმობა, მოწმობები მთავრობისა, საზოგადო და კერძო ორგანიზაციათა, კავშირებისა და სხვ.

**შენიშვნა:** 2) მოწმობებში აუცილებლად უნდა იყოს მოხსენებული ყველა ის პირები, რომელთათვის ბარათები დამზადებულია.

9) იმ შემთხვევაში, როცა იცვლება ოჯახის შემადგენლობა, აუცილებელია წარადგინოთ იმ უბნის სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, განცხადება განსაკუთრებულ ბლანკზე, რომელთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას ერთდაიმავე დროს შაქრის და პურის ბარათები ახლებზე შესაცვლელად.

10) პურის ბარათების პატრონებმა უნდა აამოირჩიონ თავის რაიონში ერთი ფურნე, რომლიდანაც მუდამ უნდა წაიღონ პური.

11) პურისა და ფქვილის ბარათი იძლევა უფასოდ.

21) მთავრობისა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, ორგანიზაციები, კავშირები, კანტორები, სასტუმროები, სკოლები, ლაზარეთები და პანსიონები მიიღებენ პურისა და ფქვილის ბარათებს პირდაპირ ქალაქის სასურსათო კომიტეტიდან. ამისათვის საჭიროა წარდგენილ იქნას იმ პირთა შაქრის ბარათები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში თუ დაწესებულებაში შედიან, რომელნიც აღწერილ და დამოწმებულ უნდა იქმნეს დაწესებულების [illegible] პირთაგან. აღწერის [illegible] ქალაქის სასურსათო კომიტეტს პურის ბიუროში.

13) რესტორანები, სასადილოები, საყავეები და სხვ. საზოგადო საკვები ადგილები პურის ბარათების მისაღებად ვალდებული არიან შემოიტანონ ქალაქის სასურსათო კომიტეტში განცხადება, რომელშიაც უნდა აღნიშნონ საშუალო რიცხვი დღიური მუშტრებისა.

14) ფიზიკური შრომით მომუშავენი, თანახმად მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მუშათა სექციის და ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილებისა მიიღებენ განსაკუთრებულ ბარათებს დამატებითი პურის მისაღებად. დამატებითი პურის ბარათები მიიღება ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში, სადაც უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა პროფესიონალურ კავშირებისა და დაწესებულებათაგან, რომელშიაც ეს პირები მუშაობენ.

**თბილისის ქალაქის**
**სასურსათო კომიტეტი.**

# ბინის კანონი

დროებითი მთავრობის მიერ გამოცემული კანონი საზღვრავს და აწესებს ბინის ფასებს. ნორმათ ითვლება ბინებზე არსებული ფასები ომამდე—ე. ი. 19 ივლისამდე 1914 წლისა. ისეთ ბინებზე, რომელთა ღირებულება წლიურათ 2400 მან. არ აღემატება, ბინის პატრონს შეუძლია მოუმატოს ფასს არა უმეტეს 10 პროცენტისა. ამაზე მეტის მომატება შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევაში, რომელსაც ქალაქის საბჭო განიხილავს, მთელი ბინების აღსაწერათ და აგრეთვე იმის ყურის სადგებათ, რომ კანონი ბინას შესახებ სისწორით სრულდებოდეს, ქალაქის საბჭო აარსებს ბიუროებს და საზღვრავს მის მუშაობას. ამ ბიუროებს გარდა ბინების ზედამხედველებათ ქალაქის საბჭოები ირჩევენ ბინის მზრუნველებს.

როგორც ეტყობა, ამ მზრუნველებს დაევალებათ თვალ-ყურის დევნება, რათა ყოველგვარი კანონი, ან ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილება სახლის პატრონების მიერ სისრულეში იქნას მოყვანილი.

ყოველგვარ უთანხმოებას, სახლის პატრონსა და მდგმურს შორის ჩამოვარდნილს, არჩევს ქალაქის ბინის შემრიგებელი კამერა, რომელშიაც თანასწორი წარმომადგენლები შედიან ორივე მხრიდან. თავმჯდომარეს კი ნიშნავს ქალაქის საბჭო. ეს კამერა დაამტკიცებს ყოველგვარ ხელშეკრულობას და ბინებზე ფასის მომატების საკითხსაც გადასწყვეტს ალბათ, ამავე კამერას დაევალება ძველი ხელშეკრულობათა, როგორც წერილობითი, აგრეთვე სიტყვიერის გადასინჯვა. თუ ასე არ მოხდა, ახალი კანონის გატარება ცხოვრებაში ძნელი იქნება.

როგორც ხედავთ, ეს ახალი კანონი მდგმურების ინტერესებს იცავს. სხვათა შორის, ამ კანონს ერთი შემდეგი კარგი დამატება ახლავს, თუ ვინიცობაა, მდგმურმა სახლის პატრონს დროზე ვერ გადაუხადა ქირა, ეს სახლის პატრონს უფლებას არ აძლევს სასამართლოს წესით მდგმური ბინიდან გააძევოს როგორც ეს დღემდე იყო, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულობა ძალას არ ჰკარგავს. სახლის პატრონმა წერილობით უნდა აცნობოს მდგმურს ქირის გადახდის ვადა. ამის შემდეგ მდგმურს ეძლევა შვიდი დღის შეღავათი.

კანონი ისეთ პირებსაც ეხება, რომლებიც ბინის დამქირავებელთაგან თითო ოთახს, ოთახში ერთს ტახტს ან ოთახის რომელიმე ნაწილს ქირაობენ. ასეთ შემთხვევისათვისაც უნდა დაწესებულ იქმნას აუცილებელი ფასი. ამ საქმესაც ალბათ, ზემო აღნიშნული ბიუროებს დაავალებს ქალაქის საბჭო. გაქირავებული ოთახების ფასი ორჯერ მეტი არ უნდა იყოს მთელი ბინის ფასთან შედარებით.

ასეთია დაახლოვებით ეს ახალი კანონი. ადგილობრივ თვითმართველობებზე ბევრი იქნება დამოკიდებული მისი ცხოვრებაში გასატარებლათ.

# სომეხ-თათართა შეტაკება ალექსანდროპოლში.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა და თბილისის მუსულმანთა წარმომადგენლებმა შემაძრწუნებელი ცნობა მიიღეს. მარიამობისთვის 24 ს ალექსანდროპოლში საშინელი სისხლის ღვრა მომხდარა.

ამის გამო მარიამობისთვის 26 სასწრაფო დეპეშებიც დაეგზავნათ ჯაფაროვს და პაპ ჯანოს ერევანში.

მომხდარ ამბების გამოსაძიებლად ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა სასწრაფოდ გაგზავნა საგანგებო პირები.

გამოძიებამდის ჩვენ არ გვსურს მიღებული ცნობები გამოვაქვეყნოთ ვინაიდგან ის, რასაც თვით მნახველნი და უსაშუალოდ დაზარალებული პირნი გადმოგვცემენ—მეტად საშინელია.

ხმებია რომ ჯერ ისევ თვენახევრის წინ მოსალოდნელი ამბების გამო დეპეშით გააფრთხილეს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი. მაგრამ, არ ვიცით, რატომ საგანგებო კომიტეტს ამისათვის ღირსეული ყურადღება არ მიუქცევია.

მოუცადოთ მიუდგომელ და სწორე გამოძიებას და თუ გამართლდა ის, რაც ეხლა ჩვენ ვიცით ამ ამბების შესახებ—სინანულით ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ ვიდრე მუსულმანების წინააღმდეგ გავრცელებულ უგვანო პროვოკაციას ბოლო არ მოეღება მათ ასეთ არა სასურველ საქციელ კიდევ უნდა მოველოდეთ.

თბილისელ მუსულმანთა კომიტეტმა 27-ის სხდომაზე განიხილა მიღებული ამბები ალექსანდროპოლში მომხდარ სისხლის ღვრაზე. ცხარე კამათის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა:

1) გაიგზავნოს ორი კაცი მომხდარ ამბების ყოველ მხრივ გამოსაძიებლად.

2) ამ საქმის გამო ნამდვილ ცნობების მიღებამდე ხმა არ ამოიღონ.

3) ეს დადგენილება ეცნობოს ყველა მუსულმანურ კომიტეტებს, როგორც კავკასიისას, ისე ამიერ კავკასიისას.

## ჟანდარმი-ბოლშევიკი.

კავკასიის ჯარის უფროსმა სამართალში მისცა ყარსის ციხის ყოფილი ჟანდარმი, ხოლო ახლა № კავკასიის მსროლელ პოლკის ჯარის კაცი აკიმ გრინევი.

მას ბრალდება, რომ იგი, განგებ, რათა კეთილი სახელი გაუტეხოს სამხედრო და საზღვაო მინისტრს ა. თ. კერენსკის, გამოდიოდა მოლაპარაკედ მიტინგებზე და აქ უმტკიცებდა ჯარის-კაცებს, რომ კერენსკი „მოსყიდულია ბურჟუაზიისგან", ურჩევდა მთავრობას ნუ ემორჩილებითო, ნუ ასრულებთ სამხედრო და საბრძოლველ ბრძანებებს, დაუძმობილდით მტრებს, ზავი შეკარით ოსმალეთთანაო, ნურც დროებით მთავრობას ემორჩილებითო, ნუ ასრულებთ დემოკრატიულ ბრძანებებს, ნუ უტევთ და ნუ გინდათ ომიო. ურჩევდა სახელმწიფო საზღვრამდე და თვით სარ ყამიშამდე დაიხიეთო და სხვა.

## ჭირნახულის მოსავალი კავკასიაში

**ჩრდილო-კავკასია.** (ყუბანისა და თერგის ოლქი და სტავროპოლის გუბერნია) მთელ ჩრდილო კავკასიაში შემოდგომის ნათესი სჯობდა გაზაფხულისას. მკათათვის პირველ კვირას ყუბანისა და თერგის ოლქში ნათესი გაფუჭდა. ჩრდილო-კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში (ალექსანდროვის და სვიატო-კრესტოვის მაზრებში და ხასავიურტის ოლქში) კავკასიის ამ ნაწილის სხვა ოლქებთან და მაზრებთან შედარებით მდარე იყო. ჩრდილო-კავკასიის დასავლეთ ნაწილში მდარე მოსავალი მაიკოპის განყოფილებაში და ეკატერინოდარის ნაწილში იყო.

სამხრეთ-აღმოსავლეთი გვალვისგან დაზარალდა, დასავლეთი (მაიკოპის განყოფილება) დიდ წვიმებისაგან.

საერთოდ ჩრდილო-კავკასიის მოსავალი ამ წელს საშუალოდ ითვლება, თითქმის საშუალოსაც აღემატება. განსაკუთრებით კარგი მოსავალი მოვიდა ბლაგოდარნენისა და სტავროპოლის მაზრებში, სტავროპოლის გუბერნიაში ყუბნის ოლქში და თითქმის მთელ თერგის ოლქში ხასავიურტის, ყიზლიარის და მოზდოკის განყოფილებების გარდა.

**დასავლეთ ამიერ-კავკასია.** (შავი-ზღვის გუბერნია, სოხუმის ოლქი, ბათომის ოლქი და ქუთაისის გუბერნია) დასავლეთ ამიერ-კავკასიაში უმეტესად სიმინდი მოჰყავთ. ამ რაიონში წლეულ კარგი მოსავალი იყო.

ტუაპსეს ოლქში მოსავალი მთლად არ აკმაყოფილებს მცხოვრებთ. წლეულ აქ მეტად ხმელი ამინდი იყო.

სოჩის ოლქში, შავი ზღვის გუბერნიაში, სოხუმის ოლქში, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში დიდი წვიმები იყო, რამაც ხელი შეუშალა კარგ მოსავალს. საერთოდ დასავლეთ ამიერ-კავკასიის მოსავალი საშუალოს აღემატება. სიმინდის მოსავალი ხომ თითქმის ყველგან საშუალოს აღემატება. მეტად მდარე მოსავალი მოვიდა ოზურგეთის მაზრაში და ბათომის ოლქში.

**თბილისის გუბერნიაში** და ზაქათალის ოლქში მოსავალი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. გვალვით მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი დაზარალდა.

**სამხრეთ ამიერ-კავკასია.** (ყარსის ოლქი და ერევნის გუბერნია). ყარსის ოლქში საგაზაფხულოთ სთესენ. ერევნის გუბერნიის დაბლობებში საშემოდგომოდ, მთლობებში (ალექსანდროპოლისა და ახალ ბაიაზეთის მაზრებში) საგაზაფხულოდ. საშემოდგომოდ ნათესი მოსავალი საერთოდ საშუალოს აღემატა. საგაზაფხულოდ ნათესი კი დაზარალდა. მეტად დაზარალდა ალექსანდროპოლის მაზრა სადაც მალახიც კი გადიხრუკა.

**აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია.** (ელისავეტპოლის და ბაქოს გუბერნია და დაღესტნის ოლქი).

მოუსავლიანობა წლეულ ნუხის არეშის და ყარიაგინის მაზრებში იყო. მოსავლიანობა ეტყობოდა აგრეთვე ელისავეტპოლის, ჯევანშირისა და ზანგეზურის მაზრებს, ბაქოს გუბერნიის ნაწილს და დაღესტნის მთიან ნაწილს. საერთოდ ამიერ-კავკასიაში ყველაზე მეტად დაზარალდა: ბაქოს გუბერნიის ნაწილი, ელისავეტპოლის გუბერნიის ოთხი აღმოსავლეთით მდებარე მაზრა, მთიანი დაღესტანი, ალექსანდროპოლის მაზრა და ყარსის ოლქი.

## ექვსი თვის შემდეგ.

(ინტელლიგენციის საჭიროება სოფლად).

აა დღის უკვე ნახევარ წელიწადია მას შემდეგ რაც რევოლუცია დაიწყო და სათავეში ხალხის წარმომადგენლები დადგენ. ეს უკვე იმდენი დროა, რა დროის განმავლობაში ჩვენ ხალხს ძალიან ბევრი უნდა ეგრძნო თავისუფლება და სხვა იმ გვარი, მაგრამ იგი ამას არა ჰგრძნობს... იმ დროს გაისმა „თავისუფლების" ხმა, როდესაც სასოწარკვეთილი ხალხს თვალი ზეცისაგანაც კი მოეშორებინა და დადრეკილი მიწას ჩასცქეროდა, თითქოს იქ მოელის ხსნას, თითქოს ეს შავი დედამიწა ეტყვის, როდის გათავდება ეს გაჰიანურებული ომი, რომელიც ცოლშვილს სიმშილით უხოცავს. ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენი ხალხი ანაზდეულად რომ გაისმა ხმა „თავისუფლებაო". მის სახეს სიხარულის იერმა გადაჰკრა და იმედი მიეცა, სიცოცხლეს პირდაპირ შეხედა. მართლაც რევოლუციის პირველ დღეებშივე შეიცვალა ძველი მთავრობა ყველგან და მის ნაცვლად „ხალხის მთავრობა" გაბატონდა, შეიძლება პირველ ხანებში დაკმაყოფილდა ამით ჩვენი ხალხი, მაგრამ ამ ახალ „ხალხის მთავრობაში" არსებითად არაფერი შეიცვალა. სიძვირემ უფრო საზღაპრო ხასიათი მიიღო, იმ დროს როდესაც საკუთარ სისხლით და ოფლით მოყვანილ ბაზარში გასატან საქონელს მტკიცე ფასები დაადეს, არ მისცეს გაეტანა ბაზარში და გაეყიდა პური თუ ღომიო, ეს ჯარისათვის მოგვინდებაო... მაშინ კი მრავალ მნიშვნელოვნად სთქვა ჩვენმა ხალხმა „ეჰ, გლეხიკაცისთვის როდის გათენებულა, ეხლა გათენდესო". და ხალხშიც თითქოს დაიკარგა ნდობა, ისეთი სიხარული და ალტაცება აღარ გამოიხატება მის სახეზე, როდესაც „თავისუფლებას" გაუხსენებ. ამის ნაცვლად გამეფდა სოფელში თავდაუჭერლობა, ლოთობა, ქურდობა და სხვა ამგვარები და წინ კი არავინ ეღობება. რატომ, რა მიზეზია? იქნება სოფლად არ არის ინტელიგენცია? არა, ინტელიგენციაც არის და შეგნებული ხალხიც, მაგრამ ისინი იმ პარტიებს ეკუთვნიან, რომლებზედაც გავრცელებულია ჭორები და ცილისწამება, რომ ისინი ხალხის მტერნი და ბატონყმობის მოტრფიალენი არიან, ხალხს მათი არა სჯერა, ხალხი მათ ალმაცერად უყურებს. და ის წრე, ის პარტია, რომელსაც დღეს-დღეობით, და ჯერ-ჯერობით ხალხის ნდობა აქვს დამსახურებული შესაფერ ყურადღებას ვერ აქცევს სოფელს. იშვიათად დაინახავს კაცი მათ სოფლად. სად არიან, რას აკეთებენ? საუკეთესო მათმა ძალებმა ქალაქ-დაბა ადგილებში დაიჭირეს საუკეთესო ადგილები და მათ არ შორდებიან, იქ მოუკეცნიათ, იმ დროს როდესაც ხალხი შველას საჭიროებს. ჩემთვის სულ ერთია ვინც უნდა განაგებდეს ქართველ ხალხს, ქართველთაგანი, მხოლოდ მან კარგად შემინახოს იგი, გულს ნუ აუმღვრევს და დაღუპვის გზისაკენ ნუ გააქანებს. თუ ღირსეული გამგებელია, ღირსეულად უპატრონოს მას.

ბატონებო, საქმე იმაში კი-არ გახლავთ, რომ ამა თუ იმ დაწესებულებას სათავეში მოექცეთ და იქიდან ამაყად გადმოხედოთ ძირს უბრალო მომაკვდავებს.

საქმე ის არის, რომ ღირსეული გამგენიც იყვეთ საქმისა, გაზვიდეთ ხალხში და თუ იქ შეიქმნა ისეთი პირობები, რომ სხვა პარტიის ხალხი იქ თამამად ვერ მოქმედობს, და არსებული შექმნილი პირობა მას ხელს ვერ უწყობს, თქვენ გააკეთოთ, თქვენ აუხსნათ და განუმარტოთ ხალხს დაწვრილებით ყოველივე ცვლილებანი და მიზეზნი ამ თუ იმ ბედნიერებისა თუ უბედურებისა... თორემ შეიძლება თამამად ითქვას; „რომ თქვენ შენობის აშენებისათვის, არავითარი ნიჭი არა გქონიათ, თქვენ მხოლოდ დიდ ადგილებს ეძებდით, პირველად რომ ხალხში გახვედით და ჰაერი სხვა გვარად შეცვალეთ. საქმე ისე წაიყვანეთ, რომ თქვენს მეტს იქ არავის შეესვლებოდა.

ხალხის ფსიხოლოგიას თუ იცნობთ, თუ იცნობთ მის ლოღიკას და მსჯელობას, მაშინ მყისვე უნდა განაახლოთ მუშაობა, თორემ ხალხი ნდობას თქვენდამიც დაჰკარგავს და მაშინ რა იქნება ეს ღმერთმა უწყის, იქნება თქვას კიდეც: „სურთუკიანებს ჩვენთვის სიკეთე არ მოუტანიათ და მოგვშორდით, თავი დაგვანებეთო".

ეს ყოველივე უფრო საყურადღებოა გორის და მის მაზრის მართველ წრეებისათვის, ხალხში ნაკლებაა მათი მუშაობა, ნუ ათქმევინებთ ხალხს, რომ თქვენ პირველში მხოლოდ იმიტომ გახვედით ხალხში, რომ დიდი ადგილები დაგეჭირათ.

ჩვენი ხალხის ინტერესი მოითხოვს დიდ მუშაობას და იგი ჩვენთვის მეტად ძვირფასია, რომ ყოველივე ამას დუმილით შევხვდეთ.

ნ. კეცხოველი.

## კორესპონდენცია

### თელავიდან

### თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კრება და 1916 წ. ანგარიში

20 მარიამობისთვეს მესამედ მოხდა თელავის „შემნახ.-გამს. ამხანაგობის წლიური კრება. ეხლა კი ძლივს დასრულდა და ბოლო მოეღო ამ მესამე კრებაზე ამხანაგობის ყოფილ თავმჯდომარის დ. ლუკაშვილის გამო ატეხილ აურ-ზაურს. როგორც გაზეთების მკითხველთ ეცოდინებათ, ამხანაგობის წევრთა დიდი უმრავლესობა (გლეხები) იქამდე იყო ლუკაშვილის თავმჯდომარეთ გაყვანის სურვილით გატაცებული, რომ არავითარ ანგარიშს არ თხოულობდა ამხანაგობისაგან—იმ ამხანაგობისა რომლის ზარალშიაც პასუხის მგებელია მთელი თავის შეძლებით. ორ ჯერ მოხდა კრება და ორჯერვე გადაიდო. მესამეთ დანიშნეს კრება 20 მარიამობისთვეს და ორი დღით წინ გამოაცხადეს, რომ რადგანაც მესამეთ იყო დანიშნული, წესიერათ ჩაითვლებოდა რაც უნდა მცირე რიცხვი დასწრებოდა წევრებისა, და მართლაც პირველ და მეორე კრებასთან შედარებით ბევრით ნაკლები დაესწრო ხალხი, ისიც ვინც დაესწრო ორიოდეს გარდა, ყველანი ლუკაშვილის წინააღმდეგნი გამოჩნდნენ მეტადრე ისინი, რომლებიც კურდღლაურიდან ამოვიდნენ ორიოდე სოც.-დემოკრატების წინამძღოლობით წითელი დროშებით და რამდენიმე შეიარაღებული გლეხებით, რომლებიც საომრად ამოსულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ამხანაგობის მშვიდობიან წევრებს.

კრება გაიხსნა დ. ქადაგიძის თავმჯდომარეობით დილის 11 საათზე, ჯერ პირველად წაიკითხეს ანგარიში, შემდეგ სარევიზიო კომისიის მოხსენება, მის დასასრულს კიდევ ჩაეწერნენ სალაპარაკოდ და ვისაც რა სურდა სათქმელი ყველა ლაპარაკობდა. უნდა შევნიშნოთ რომ ბევრი იყო იმგვარი საკითხი, რომლის გადაწყვეტა მაშინვე შეიძლებოდა, მაგრამ თავმჯდომარის განცხადებით: „რადგანაც ხალხი მობეზრდა, მოიღალა, ამის გამო უკეთესი იქნება ამხანაგობის საბჭოს გადავსცეთ, რომელიც შემდეგ გადასწყვეტავსო". ხალხი დაეთანხმა და საბჭოს გადასცეს მაგ. როგორც გირავნობის ქვეშ სესხის გაცემა, მოსამსახურეთა ჯილდო-ჯამაგირების გადიდების რაოდენობა, სახალხო სახლის ასაშენებლად საკმაო ფულის გადიდება, სხვა და სხვა დაწესებულებების ფულების შეწირვის დანაწილება და სხვა და სხვა.

კრებაზე დაადგინეს შემდეგი: რადგანაც დღეის შემდეგ სასურსათო კომიტეტზე გადადის ყოველივე სანოვაგის თუ საქონლის მოტანა და ამხანაგობა ველარაფერს მოიტანს გასაყიდს და მხოლოდ მარტო ფულის ოპერაცია და იქნება, ამის გამო უნდა დაითხოვონ ზედ მეტი მოსამსახურენი. ამხანაგობის ეზოში გამოყვანილ უნდა იქნას სასმელი წყალი, იმავე ეზოში უნდა აშენდეს სახალხო სახლი, თელავის და სოფ. იყალთოს მომხმარებელ საზოგადოებებს უნდა მიეცეს 30,000 მ. ნდობა თითოს, გოგირდი 79 ათასი ფუთი, რომელიც ამხანაგობას აქვს ეხლა, მაგრამ უფარგისია უსათუოდ უნდა გადაკეთდეს ამხანაგობის გახსნილ გოგირდის ქარხანაში რადგანაც თუ ისე დარჩა დიდი ზარალია მოსალოდნელი.

**1916 წლის ანგარიში.**

საანგარიშო წლის დასაწყისში ითვლებოდა 2152 წევრი, 362,362 მან. ნდობით მთელი წლის განმავლობაში კიდევ ჩაეწერილა 377 წევრი 56,085 მ. ნდობით. საანგარიშო წლის ბოლოს არის 2,494 წევრი 427,122 მან. ნდობით. საანგარიშო წლის დასაწყისს ამხანაგობას ჰქონდა: საპაიო 15,010—87 კ.

| | |
|---|---|
| ძირითადი საკუთარი თანხა. | 2,570 მ. |
| „ ნასესხი „ | . 8,000 „ |
| სათადარიგო „ | . 645 „ |
| უიმედო სესხის გასანაღდებლად . . | 300 მ.—00 კ. |
| უძრავ ქონების შესაძენათ. . . . | 5,635 მ.—48 კ. |
| საშუამავლო ოპერაციების საწარმოებლად . . . . | 600 მ.—00 კ. |
| აქციების შესაძენათ. | 1,052 მ.—75 კ. |
| სულ ჰქონია საანგარიშო წლის დასაწყისს . . . . | 33,814 მ.—10 კ. |

**შესანახად მიღებული ფულები.**

საანგარიშო წლის დასაწყისს უვადოთ 161,533 მ. 43 კ., ვადით ერთ წლამდის 20,223 მ. 63 კ., ერთი წლიდან ხუთ წლამდინ 2,120 მ. პირობით 1,881 მ. 36 კ. სულ 185,758 მ. 36 კ.

საანგარიშო წლის ბოლოს რჩება შესანახად მიღებული ფული 318,535 მ. 35 კაპ.

**ნასესხები ფულები.**

სახ. ბანკ. კერძო ბანკებში და კერძო პირებისა ნდობა ჰქონია 265,000 მ.

საანგარიშო წლის განმავლობაში ამხ. უესხნია 10006,996 მ. 45 კაპ. გადაუხდია 914,035 მან. 64 კ. საანგარიშო წლის ბოლოს მართებს: სახელმწიფო ბანკისა 51,866 მ. 42 კაპ. კერძო ბანკებისა 101,101 მ. 12 კაპ. კახეთის საკრედიტო და შემ.-გამს. ამხანაგობათა კავშირისა 50,000 მ. კერძო პირებისა 24,143 მან. 80 კაპ. სულ 227,117 მ. 34 კაპ. საანგარიშო წლის ბოლოს ამხანაგობას რჩება წმინდა მოგება 33,367 მან. 78 კაპ.

ნ. შუმთელი.

### ქ. ქობულეთიდან

**ქართველ მაჰმადიანთა მიტინგი.**

პარასკევს, 25 მარიამობისთვეს, ქ. ქობულეთში დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული ბიურო. კრებას ორგანიზაციის საკუთარ შენობაში დიდძალი ქართველი მაჰმადიანი დაესწრო. არ გასულა რამოდენიმე საათი, რომ ბ-ნმა კომისარმა თურმე ბრძანება გასცა—გამოდით მთელი მცხოვრებლები ზღვის პირათ ბაღში მიტინგიაო. მისმა თანაშემწეებმა სისრულეში მოიყვნეს მისი ბრძანება და მთელი „ბაზარი" გამოიყვანეს ბაღის მოედანზე. 1 საათიდან დუქნები სულ დაკეტილი იყო. კრება გახსნა ბ-ნმა კომისარმა ქარცივაძემ ასეთი წინასიტყვაობით: „ამხანაგებო, მე გელაპარაკებით თქვენ დღეს აქ არა როგორც კომისარი, არამედ როგორც სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი. ვინაიდ ნ ჩემ ყურებამდი მოაღწია ხმებმა, რომ დაძიან ჩემდამი რწმუნებულ მიდამოებში „პროვოკატორები", რომლებიც თურმეავრცელებენ ხმას, თითქოს სოც.-დემოკრატები ხალხს მესაკუთრეობას უკარგავდნენო, ამისათვის მე წინადადებას ვიძლევი, ის ვაჟბატონები გამოვიდნენ ხალხის წინაშე და აქ სთქვან თავისი აზრიო. დაჟინებით მოითხოვდა ხალხისაგან და ზნეობრივად ვალდებულად თვლიდა თავს მათთვის პასუხი მიეცა. ხალხმა თავმჯდომარეთ მიტინგისა აირჩია ქართველი მაჰმადიანი ზია-ეფენდი-ხარაზი (ერ. დემოკრატია). მიტინგზე შემდეგმა ორატორებმა ილაპარაკეს. სოც.-დემოკრატებიდან: ქარცივაძემ, ცინცაძემ და გადულიამ; სოც.-ფედერალისტებიდან: გრიშა ლოლობერიძემ და გვახარიამ; ეროვნულ-დემოკრატების სახელით: ნური ეფენდი ჩიჯავაძემ, ელისე პატარიძემ, ლეო დგებუაძემ და ზალიკო ჩიხლაძემ. ორატორმა ცინცაბაძემაც ქარცივაძის სიტყვები გაიმეორა: აქ დადიან პროვოკატორებიო და მოსთხოვა საზოგადოებას ასეთები დაეტუსაღებიათ. მაშინ ველარ მოითმინა ერთმა ეროვნულ-დემოკრატმა, ავიდა ტრიბუნაზე და მოსთხოვა ცინცაბაძეს დაესახელებია ხალხის წინაშე პროვოკატორები. მან გადააკეთა და დასძინა: მე პროვოკატორები არც აქ ქობულეთში, არც საქართველოში არ მეგულება, არამედ მთელი რუსეთის სახელმწიფოში არიან გაფანტულიო. ქართველი მაჰმადიანები მათი ჩვეულებისამებრ სიდინჯით და დარბაისლობით უსმენდენ ყველა ორატორებს. ბოლოს გამოვიდა დარბაისელი და პატიოსანი მოხუცი ნური ეფენდი ჩიჯავაძე, მიიხა ა ჩ ბალახი ტრიბუნაზე და სიტყვით მიმართა იქ მოსულ თავის ძმებს ქართველ მაჰმადიანებს: მან მოუყვანა მათ სხვა და სხვა ისტორიული მაგალითი მათი ცხოვრებიდან და აუხსნა მიზეზი იმ სულიერი ძმური კავშირისა, რაიცა არსებობს ქართველ ქრისტიანებსა და ქართველ მაჰმადიანებს შორის. შემდეგ დასკვნა გაუკეთა ყველა ორატორის ნალაპარაკევს: ძმებო! ჩვენ ვისმინეთ ყველასი ნალაპარაკევი. ერთმა ჩვენი ცხოვრება შეადარა საფრანგ., ინგლის. იტალიის და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებს, სადაც ხომალდით დადიან ზღვაზე და ჰაეროპლანით დაფრინავენ ჰაერზეო. და გვირჩია მოვსპოთ კერძო საკუთრება და ვიქონიოთ ფედერაციული კავშირი სხვა ერებთანო. მეორემ „ბრძანა" ვითომც მარქსის აზრი მთელი დედამიწის გაერთიანებაზე და ძმობაზეო. ყველა ესენი კარგი და პატიოსანია. მაგრამ აბა გადახედეთ მიტინგზე მოსულ ხალხს, ვინა ვართ ჩვენ აქ? ყველა ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანი ერთი ძმა, რომელთაც ერთი ხმა გვაქვს. გარდა ჩამოსულ მოქალაქეთა, რომელნიც დღეს აქ წყალს ამღვრევენ და ტაშს უკრავენ სოც.-დემოკრატების კომისარსო. ჩვენ ორი ნაჭერი მიწა გვაქვს გაშენებული ხეხილით და სიმინდით და აბა გვიჩვენეთ ვინ არის აქ კაპიტალისტიო. წაბრძანდით და იქ იბრძოლეთ, სადაც გეგულებოდესთ ბურჟუაზიაო. ჩვენ სხვისი არავისი სიტყვა არა გვწამს გარდა ერთისა: გვწამს დემოკრატიული კერძო საკუთრება და ამგვარად ხელშეუხლებლობა „შარიათისა" მაჰმადიანებისათვის[illegible] მემკვიდრეობა და ქმრისაგან ცოლის გაშვება და კარგად ვიცით ამ მხრივ ვინ არის ჩვენი ჭეშმარიტი დამცველი, ვის მივეკედლოთ და დავეჭიროთ მხარიო. (სახეში ყველა ეროვნ.-დემოკრ.). დასასრულ სთხოვა თავის ძმებს წავიდეთ, ქართველმა მაჰმადიანებმა და ცალკე ვიქონიოთ მსჯელობა და შევიმუშაოთ ერთი აზრიო. თუ როგორც ყველამ დაინახა თავისი თვალით მართლაც ადგილობრივი მცხოვრებლები ქართველი მაჰმადიანები—რწმენით ეროვნულ-დემოკრატები არიან.

ზ—კო.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

## კალენდარი

### პარასკევი ენკენისთვის 1

**ქართვ.** ხსენ. ღირს. მამისა ჩვენისა სვიმეონ მესვეტისა არქიმანდრიტ და დედისა მისისა მართასი; კრება წმ. ღვთისმშობლისა რომელი იყო მიასინეს; წმ. მოწ. აითალასი; წმ. მოწამ. 40 ქალწულთა.

**კათოლ.** წმ. ეგიდია და გედეონისა.

**მაჰმად.** ჯუმა 27 რ. ზულყადე 1335 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშიშ 27 რ. ელულ 5677 ქვეყნ. შექმნ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მოძრაობა

(დროა ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.05 დღ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.23 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.15 საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 საღ. |
| ბაზ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 დილ. |

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**კომერციულ ცოდნათა**

კ უ რ ს ე ბ ი

**ტ. მ. ფილოიანისა**

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნების მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—11

**სააკადმყოფო**

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსხარულდი ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ლებულობს 10—12 ს. ყოველდღე.

გეჟაძე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

ახპახოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.

ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.

მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.

ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.

ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 3—3 საათამდე.

იოხელსონი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.

ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.

დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.

ტრიანდაფილი—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.

ადიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—55